განმარტებითი შენიშვნები შპს „ვაზი“-ს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „ვაზი“-ს შესახებ

საფირმო სახელწოდება: ვაზი

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: **245533793** ;

რეგისტრაციის თარიღი: 19.05.2005;

მარეგისტრირებელი ორგანო: ბათუმის საგადასახადო ინსპექცია

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა №15

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - ლევან ბერიძე 61001003960

პარტნიორები

მესაკუთრე			**წილი**
ლევან ბერიძე,	61001003960	-	50%
ავთანდილ გოგიტიძე,	61001006282	-	50%

კომპანიას თავის მხრივ არ ყავს შვილობილი საწარმოები.

ცვლილებები

ცვლილებები სარეგისტრაციო დოკომენტებში

შპს „ვაზი“-ის მესაკუთრეების ცვლილება არ მომხდარა შპს-ს დაფუძნებიდან დღემდე. ასევე არ მომხდარა დირექტორის ცვლილებაც.

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვადასხვა აქსესუარების რეალიზაციას.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი. ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.

შესაბამისობა

➢ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"ფარგლებში) და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: **დარიცხვის მეთოდი** და **ფუნქციონირებადი საწარმო.** ფინანსური ანგარიშგების ყველა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

➢ ***<u>კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:</u>***

➢

➢ •ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

➢

➢ ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

➢ ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულწელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

➢ კომპანია არ წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფის წევრს, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ინდივიდუალური ხასიათისაა და ეხება მხოლოდ შპს „ვაზს".

კომპანიამ მიმდინარე (2019) წელს შეწყვიტა ფუნქციონირება და მომავალში ძალიან დიდია ალბათობა, რომ აღარ გააგრძელებს ფუნქციონირებას სხვადასხვა მიზეზების გამო.

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციი სდღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17 განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველ ღირებულებას - ცვეთა) ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით.

ცვეთა. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლოატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-7 წელი
ავტომობილები	10 წელი

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა, როგორც არაარსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულების ტოლია.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი.

ხარჯებად აღიარება

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში.

საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ ინვენტარიზაცია.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას დღგ-ს დარიცხვა ხდება სსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკურსო სხვაობების აღიარება

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

სალაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას უპირატესად გამოიყენება უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, ყოველი თვის ბოლოს, შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა, გაანგარიშება, დეკლარირება და გადახდა წარმოებს – სსკ-ის XXI თავის 156-181 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფაქტობრივი ოდენობებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XXIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა

შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

შპს „ვაზი“-ს დირექტორი: ლევენ ბერიძე

საქმიანობის შედეგები	**2019**	**2018**
ნეტო ამონაგები	**916477**	**2973226**
საქონლის გაყიდვიდან	778657	2812957
მომსახურების გაწევიდან	79584	160269
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა	58236	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**-713006**	**-2245403**
საწყისი მარაგები	-2010759	-1187379
მარაგების შესყიდვა	1297753	-3068783
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		2010759
საერთო მოგება	**203471**	**727823**
სხვა შემოსავალი	137681	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-70029	-194524
ცვეთა და ამორტიზაცია		-26746
საპროცენტო შემოსავალი:	17510	57001
საპროცენტო ხარჯი :	-3629	-9702
იჯარის ხარჯი	-140577	-338385
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-322026	-51357
სულ საოპერაციო ხარჯები	**-381070**	**-563713**
საოპერაციო მოგება	**-177599**	**164110**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		0
მარაგები		0
სხვა არაფინანსური აქტივები		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-4153	-477
მიღებული დივიდენდები		0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**-181752**	**163633**
მოგების გადასახადი	-31347	-8414

მოგება/(ზარალი)	**-213099**	**155219**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		0
სხვა (მათ შორის ფილი ეროვნული და ეკვივალენტი საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და [illegible])		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	**0**	**0**
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**-213099**	**155219**
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	132276	49688
ახალი აქციების გამოშვება (მან-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის [illegible]')		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-177632	-47687
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-213099	132275
კაპიტალის სხვა ცვლილებები		**-2000**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-258455**	**132276**

ფინანსური მდგომარეობა	31/12/219	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		25600	118732
სავაჭრო მოთხოვნები		13045	10399
გადახდილი ავანსები	0	0	0
მარაგები	**0**	**2010759**	**1187379**
მზა პროდუქცია			
სხვა		2010759	1187379
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები		593020	416468
ბიოლოგიური აქტივები	**0**	**0**	**0**
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები		123482	146912
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	**0**	**2765906**	**1879890**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	132018	2534958	1681369
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	160		
საგადასახადო ვალდებულებები	126277		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		97320	147982
მიღებული გრანტები		0	0

სხვა ვალდებულებები		1352	851
სულ ვალდებულებები	**258455**	**2633630**	**1830202**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			2000
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-258455	132276	47688
გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა რეზერვები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	**-258455**	**132276**	**49688**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**0**	**2765906**	**1879890**

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	35554	**102135**
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-57001	-194790
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-21477	-92655
სავალუტო კურსის ეფექტი	-4153	-477
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25600	118732
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		25600